საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990137056133518

№02/54 **19 / სექტემბერი / 2018 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლისთვის ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე

"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2018 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების (ოქმი N16; საკითხი N1) და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის N02 ადმინისტრაციული ხელშკრულების პირველი მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ქ.ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ.N13-ში მდებარე "საცხოვრებელ სახლს".

2.დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიულ სამსახურს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 2 ივლისის N2/146 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და ბრძანების დანართის რიგითი ნომერი "2"-ის - "საცხოვრებელი სახლი" - ბრძანების დანართიდან ამოღება.

3.ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისა და ამ ბრძანების მეორე პუნქტში მითითებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ამოქმედებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი:ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.N52)

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე